



ეკა მიშველადის უფლებებს სასამართლოში საია დაიცავს

დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოში ეკა მიშველადემ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ სარჩელი წარადგინა, რომლითაც მოთხოვნილია ეკა მიშველადის სამსახურიდან გათავისუფლებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „პირველი სტუდიის“ გაუქმების შესახებ გამოცემული ბრძანებების ბათილად ცნობა, ეკა მიშველადის სამსახურში აღდგენა და სხვა თანმდევი მოთხოვნები. ასევე, ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს დისკრიმინაციული ქმედების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება. ეკა მიშველადის ინტერესებს სასამართლოში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დაიცავს.

ეკა მიშველადის სამსახურიდან გათავისუფლებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „პირველი სტუდიის“ გაუქმების შესახებ გადანყვეტილება „საზოგადოებრივი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მაუწყებლის“ გენერალურმა დირექტორმა 2016 წლის 11 თებერვალს მიიღო. თუმცა, როგორც ცნობილია, გადაცემა „პირველი სტუდია“ ეთერში ახალი სატელევიზიო სეზონის დაწყებიდან (2015 წლის სექტემბერი) აღარ გადის, რის მიზეზადაც „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ გადაცემის დახურვას ასახელებდა. როგორც აღმოჩნდა, გადაცემა ოფიციალურად 2016 წლის თებერვალში გაუქმდა.

„საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ევა მიშველაძის სამსახურიდან გათავისუფლების ოფიციალურ საფუძვლად „შრომის კოდექსის“ 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ო“ ქვეპუნქტს (სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას) მიუთითებს. ამგვარ გარემოებად „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ „პირველი სტუდიის“ დახურვასა და ახალი გადაცემის ეთერში გაშვების არამიზანშეწონილად მიჩნევას ასახელებს. იმ პირობებში, როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებელი საერთოდ არ ასაბუთებს „პირველი სტუდიის“ დახურვის კანონიერებას, ხოლო ახალი გადაცემის გაშვების მიზანშეწონილად მიჩნევა ასევე დაუსაბუთებელ და არადაამაჯერებელ არგუმენტებს ემყარება, კიდევ უფრო ღრმავდება საზოგადოებაში გაჩენილი ეჭვები, რომ ადგილი აქვს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სარედაქციო პოლიტიკაში არაჯანსაღ ჩარევას.